


ფერეიდანედი ქართვედი: "ჩემი ოცნება გახდა მამაჩემის დაბრუნება საქართველოში"



68 წლის მუჰამედ ონიკაშვიდი ფერეიდანში მცხოვრები ქართველია, მისი წინაპრები დაახლოებით 4 საუკუნის წინ ირანში გადაასახლეს.

ირანის ეს პატარა ქართული კუთხე დღემდე ინარჩუნებს ქართველობას, ენასა და ქართულ ტრადიციებს. ბატონი მუჰამედის ერთადერთი ოცნება კი ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებაა.

ერთხელ, 1 თვით შვიდებმა საქართველოში ჩამოიყვანეს – “ბოღის ცრემლები ვერ შეიკავა და ზუსტად ასეთი მესიზმრებოდაო, გვითხრა. მის მერე ჩემი ოცნება გახდა მამაჩემის დაბრუნება საქართველოში”. ახლა მისი შვიდი, სოფი ონიკაშვიდი მამის ოცნების ასახდენად დახმარებას ითხოვს:



“ეს მამაჩემია, ფერეიდნედი ქართველი მუჰამედ ონიკაშვიდი, რომელიც ახლა ირანში ცხოვრობს. 68 წლის გახდა უკვე. მთელი ცხოვრება ბრუნავდა სხვებზე. ჯერ მშობლებზე, და - ძმაზე, ძმიშვილებზე და ბოლოს კი შვილებზე. ცოტა არ გეგონოთ, არც მეტი არც ნაკლები – 8 შვიდი. ყველაფერში მხარდამხარ ედგა დედაჩემიც, მასუმე ასღანიშვიდი. მის ხელში ხარობს და ყვავის ყველაფერი. პატარა სახლში იმხელა ჯუნგლები აქვს მოშენებული.

ერთმანეთის გარეშე არსად მიდიან, მამაჩემს არასოდეს უსაუბრია საკუთარ ოცნებებზე, თუმცა ყვერამ ვიცოდით, რომ გიჟდებოდა სოფელსა და მიწაზე. სურ უნდოდა, ჰქონოდა საკუთარი მიწა, რომელიც სამწუხაროდ ვერა და ვერ შეძლო, რომ ჰქონოდა. წლების წინ, როდესაც მე გამომიშვა სამშობლოში (აქვე გეტყვით, რომ იმ დროისთვის ქარიშვილებს სხვა ქარაქშიც კი არ უშვებდნენ, არა თუ სხვა ქვეყანაში), მაშინ მივხვდი, რომ მან საკუთარი ოცნება აისრულა ჩემში. რამდენიმე წლის შემდეგ კი შეძლო და თავადაც მოინახულა სამშობლო. ერთი თვე დარჩა საქართველოში და მოინახულა კახეთი და რაჭა. ჯერ გაოცებული იყო ქართველთა შორის ამხელა მსგავსებით. კახეთში სურ იმას იძახდა, მეგონა ჩემს სოფელში ვარ, იმდენი ნაცნობი სახე მხვდებაო.

მერე რაჭაში გაოცებული უყურებდა გარემოს და იმეორებდა, ნუ თუ

მართალია. ეს ყველაფერი სიმართლე ყოფილა. ბორის ცრემლები ვერ შეიკავა და ბუსტად ასეთი მესიმბრებოდაო, გვითხრა. მის მერე ჩემი ოცნება გახდა მამაჩემის დაბრუნება საქართველოში. თან გავიგე, რომ უამრავი მიტოვებული სახლ-კარია ამ ქვეყანაზე. ხომ შეიძლება მათი პოვნა, აღება და დამუშავება? ამით სამშობლოშიც იქნება და მიწაზეც იმუშავებს. ორი ოცნება აუხდება ერთად. მარტო ვერაფერს გავხდი და ჩავთვადე, მეგობრების დახმარებით გამოვიდოდა ეს ამბავი. ამიტომ უნდა გვითხოთ აზრი. ხომ არ გეგუდებათ მსგავსი რამ, პატარა, ძველი სახლი ეზოთი, შეძლებისდაგვარად თბილისთან ახლოს (ორი პატარა მყავს და მიმოსვრა და დახმარება რომ შევძლო სანამ მიერივევიან ყველაფერს და წერში გაიმართებიან) ? ან სად და ვის შეიძლება მივმართო ამ თხოვნით? მე ძალიან მინდა, რომ ავუსრულო ეს ოცნება ჩემს მშობლებს და თქვენი იმედიც მაქვს, რომ ამ გზაზე მარტოს არ დამტოვებთ. ისევე როგორც ყოველთვის, მე მაქვს ჩემი მეგობრების იმედი.

ხო , მართლა, მან იცის მეფუტკრეობა და მშვენივრად გამოსდის. ერთი პრობლემა ისევ და ისევ ადგილის უქონლობაა, თორემ აუცილებლად მეფუტკრეობასაც მოკიდებდა ხერს. მოკრედე ვერი თქვენს რჩევებსაც,"- სოფი ონიკაშვილი.

kartuli.kvira.ge